# WIZZ Privilege Pass-ის წესები და პირობები

გამონაკლისები/შეზღუდვები:

## 1. განმარტებები

ბარგის მოსაკრებელი გულისხმობს მოსაკრებელს, რომელიც wizzair.com-ზე არის განსაზღვრული და მისი გადახდა მგზავრის მიერ რეგისტრირებული ბარგის ყოველ ერთეულზე ხორციელდება.

დამატებითი სივრცე ფეხებისთვის გულისხმობს სერვისს, რომელიც მგზავრს საშუალებას აძლევს, მოთავსდეს ავიახომალდის ერთ-ერთ ყველაზე კომფორტულ ადგილზე, რომელიც საევაკუაციო გასასვლელების რიგებში მდებარეობს. აღნიშნული სერვისით სარგებლობისას მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები, რომელთა გაცნობაც wizzair.com-ზე არის შესაძლებელი.

პირველ რიგში მდებარე ადგილი გულისხმობს სერვისს, რომლის მეშვეობითაც, მგზავრი სალონის პირველ რიგებში მდებარე ადგილზე მოთავსებას შეძლებს. აღნიშნული სერვისით სარგებლობისას მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები, რომელთა გაცნობაც wizzair.com-ზე არის შესაძლებელი.

დიდი ხელბარგი გულისხმობს არა-რეგისტრირებული ბარგის ერთ ერთეულს, რომლის ატანაც მგზავრებს შეუძლიათ ბორტზე, რაც, თავის მხრივ, wizzair.com-ზე, Wizz Air-ის დაშვებული ბარგის წესებშია განსაზღვრული.

დიდი ხელბარგის მოსაკრებელი გულისხმობს მოსაკრებელს, რომელიც wizzair.com-ზე არის განსაზღვრული და მისი გადახდა მგზავრის მიერ დიდი ხელბარგის ყოველ ერთეულზე ხორციელდება.

წევრი გულისხმობს პირს, რომელიც Wizz Air-ის მგზავრებისთვის განკუთვნილი გადაყვანის სერვისებით სარგებლობს და რომლის სახელიც, WIZZ Privilege Pass-ის წევრად, WIZZ Privilege Pass-ის შეძენისას იქნება მითითებული.

პრიორიტეტული ჩასხდომა გულისხმობს სერვისს, რომელიც მგზავრს ბორტზე პრიორიტეტული ჩასხდომის საშუალებას აძლევს.

ადგილის არჩევის მოსაკრებელი გულისხმობს მოსაკრებელს, რომელსაც მგზავრი თითოეული ინდივიდუალური დაჯავშნული ადგილზე იხდის და რომელიც wizzair.com-ზე არის განსაზღვრული.

წინა რიგებში მდებარე ადგილი გულისხმობს სერვისს, რომლის მეშვეობითაც, მგზავრი A320-ის სალონის პირველ 2-4 რიგში, ხოლო A321-ის პირველ 2-5 რიგში მდებარე ადგილზე მოთავსებას შეძლებს. აღნიშნული სერვისით სარგებლობისას მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები, რომელთა გაცნობაც wizzair.com-ზე არის შესაძლებელი.

Wizz Air გულისხმობს Wizz Air Hungary Ltd.-ს.

WIZZ Privilege Pass გულისხმობს თორმეტთვიან საწევრო პროგრამას, რომელიც საშუალებას აძლევს წევრს, Wizz Air-ის მიერ განხორციელებული რეისის ავიაბილეთის ჯავშანს დაამატოს პრიორიტეტული ჩასხდომის, ნებისმიერი ადგილის არჩევის (მათ შორის, პირველ რიგში მდებარე ადგილის, წინა რიგებში მდებარე ადგილისა და ფეხებისთვის დამატებითი სივრცის მქონე ადგილის) და დიდი ხელბარგის სერვისები, პრიორიტეტული ჩასხდომის, ადგილის არჩევის ან დიდი ხელბარგის შესაბამისი მოსაკრებლების გადახდის გარეშე.

## 2. WIZZ Privilege Pass-ის შეძენა, წევრის უფლებები

2.1. წევრებს WIZZ Privilege Pass-ის შეძენა შეუძლიათ:

– ინტერნეტით დაჯავშნილ ავიაბილეთთან ერთად, WIZZ Privilege Pass-ის მოსაკრებლის გადახდით; ან

2.2. WIZZ Privilege Pass-ის შეძენისას, წევრს ყოველწლიური მოსაკრებელი ჩამოეჭრება.

2.3. WIZZ Privilege Pass-ის მოსაკრებელი Wizz Air-ის მიერ შეიძლება ნებისმიერ დროს, წევრის შეტყობინების გარეშე შეიცვალოს. ყოველწლიური მოსაკრებლის გაზრდის შემთხვევაში, ის ძალაში WIZZ Privilege Pass-ის განახლებისას შევა.

2.4. WIZZ Privilege Pass-ის გაუქმების შემთხვევაში, წევრობის მოსაკრებლის წევრისთვის უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

2.5. WIZZ Privilege Pass დაკავშირებულია მხოლოდიმ წევრთან, რომელიც WIZZ Privilege Pass-ის შეძენისას, WIZZ Privilege Pass-ის წევრად იქნება მითითებული. წევრს WIZZ Privilege Pass-ით სარგებლობა მხოლოდ საკუთარი ავიაბილეთების და ჯავშნისას შეუძლია (ანუ იმ ავიაბილეთის და ჯავშნისას, რომლის ფარგლებშიც წევრს WIZZ Privilege Pass-ის წევრობის უპირატესობებით სარგებლობა სურს, წევრი მგზავრად უნდა იყოს მითითებული).

2.6. წევრს არ შეუძლია უფასო დიდი ხელბარგის რეგისტრირებული ბარგით ჩანაცვლება სექციებში „ჩემი ჯავშნები“, „ჯავშნები“ ან „რეგისტრაცია“ „სერვისის დამატების“ მეშვეობით.

3. WIZZ Privilege Pass-ის მოქმედების ვადა

3.1. WIZZ Privilege Pass-ის მოქმედების ვადა განისაზღვრება როგორც თორმეტთვიანი უწყვეტი პერიოდი, რომელიც იწყება მისი შეძენის დღიდან (ანუ WIZZ Privilege Pass-ის მოსაკრებლის გადახდიდან, საწყისი თარიღი) და სრულდება საწყისი თარიღის ერთი წლის თავამდე ერთი დღით ადრე (მისი ჩათვლით).

4. სხვადასხვა

4.1. წევრობა 14 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის მიუწვდომელია.

4.2. დაუშვებელია WIZZ Privilege Pass-ის სხვა პირისთვის გადაცემა; მოცემული WIZZ Privilege Pass-ის წევრის სახელის შეცვლა შეუძლებელია. საკუთარი WIZZ Privilege Pass-ის არაკანონიერი გამოყენების შემჩნევისთანავე, წევრმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს Wizz Air-ს.

4.3. წევრებს ეკრძალებათ ავიაბილეთების საკუთარი WIZZ Privilege Pass-ის მეშვეობით, გადაყიდვის მიზნით შეძენა. თუ ავიაბილეთის დასაჯავშნად გამოყენებული იყო WIZZ Privilege Pass, მოცემულ ჯავშანში მგზავრების სახელების შეცვლა ასევე შეუძლებელია. რეისის ნებაყოფლობითი შეცვლის ან Wizz Air-ის მხრიდან განრიგის ცვლილების შემთხვევაში, WIZZ Privilege Pass-ის უპირატესობები ახალ რეისზეც გავრცელდება.

4.4. წინამდებარე წესებსა და პირობებში განსაზღვრული დებულებების გარდა, Wizz Air-ისგან შეძენილ სერვისებზე Wizz Air-ის გადაყვანის ზოგადი პირობები ვრცელდება. საწინააღმდეგოზე მითითების არარსებობის შემთხვევაში, Wizz Air-ის გადაყვანის ზოგადი პირობებში განსაზღვრულ ცნებებს წინამდებარე წესებსა და პირობებში იგივე მნიშვნელობა აქვს.

4.5. WIZZ Privilege Pass-ის წევრის ან მესამე მხარის მიერ კომერციული მიზნით შეთავაზება, განსაკუთრებით, ინტერნეტ-აუქციონების ან ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სხვა პლატფორმების მეშვეობით, Wizz Air-ის მიერ პირდაპირ იკრძალება.

4.6. ეს შეთავაზება ძალაშია მის შეწყვეტამდე. კლიენტი აცხადებს, რომ ის გაეცნო წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ წესებსა და პირობებს.

4.7. Wizz Air იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე წესები და პირობები, წინასწარი შეტყობინების გარეშე. ამგვარი ცვლილებების შესახებ, Wizz Air ყველა წევრს საკუთარი ვებსაიტის (wizzair.com) მეშვეობით შეატყობინებს.

4.8. Wizz Air არ აგებს პასუხს მიყენებულ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია WIZZ Privilege Pass-ის არასათანადოდ გამოყენებითა ან მისი დაკარგვით თუ სხვა პირისთვის გაზიარებით.

4.9. წინამდებარე წესები და პირობები შედგენილია და ყოველმხრივ ძალაშია უნგრეთის კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი დავების მოგვარება, პირველ რიგში, მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით უნდა განხორციელდეს.

ძალაშია 2015 წლის 8 აპრილიდან